საქართველოს გენერალური პროკურატურა

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საქართველოს პროკურატურის სისტემაში მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური 2011 წლიდან ფუნქციონირებს. აღნიშნული სამსახურის მიზანია მოწმისა და დაზარალებულისთვის სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობის გამარტივება, დანაშაულის შედეგად გამოწვეული სტრესის შემცირება, ხელახალი და მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება, გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპზე მოწმისა და დაზარალებულის ინფორმირებულობის უზრუნველყოფა.

2018 წელს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურმა შეიძინა დამატებითი ფუნქციები და ინსტიტუციურად კიდევ უფრო გაძლიერდა. ცვლილების შედეგად, კოორდინატორი გახდა სამართალწარმოების პროცესის მონაწილე და აღიჭურვა არაერთი მნიშვნელოვანი ფუნქციით. კერძოდ, კოორდინატორები ესწრებიან დაზარალებულის მონაწილეობით ჩატარებულ საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებებს და საქმის სასამართლო განხილვას (მათ შორის, დახურულ სასამართლო პროცესებს). კანონმდებლობითვე განისაზღვრა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ფუნქცია დაზარალებულს/მოწმეს მარტივი და გასაგები ენით მიაწოდოს ინფორმაცია სამართალწარმოების პროცესის შესახებ, გაუწიოს ემოციური მხარდაჭერა, დაეხმაროს არსებული სერვისებით სარგებლობაში (თავშესაფრით უზრუნველყოფა, სამედიცინო და იურიდიული დახმარება).

საკანონმდებლო ცვლილების პრაქტიკაში ეფექტიანი იმპლემენტაციის უზრუნველსაყოფად, შემუშავდა სახელმძღვანელო დოკუმენტი მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის შესახებ. სახელმძღვანელო დოკუმენტით გაიწერა რეკომენდაციები კოორდინატორის სისხლის სამართლის საქმეში ჩართვის, პირველადი რეაგირების, მისი ფუნქციებისა და უფლება-მოვალეობების, პროკურორისა და კოორდინატორის ერთობლივი მუშაობის და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების თაობაზე.

სახელმძღვანელო დოკუმენტით განისაზღვრა დანაშაულები და მოწყვლად პირთა კატეგორია, რა შემთხვევაშიც პრიორიტეტულად ერთვებიან მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები. კერძოდ, კოორდინატორი უპირატესად ერთვება ოჯახური დანაშაულის, ოჯახში ძალადობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის, ტრეფიკინგის საქმეებში, ასევე, იმ სისხლის სამართლის საქმეებში, სადაც დაზარალებული ან/და მოწმე არის არასრულწლოვანი ან შშმ პირი, დაზარალებულს/მოწმეს დანაშაულის ჩადენის შედეგად მიადგა მძიმე ფიზიკური ან მორალური ზიანი ან/და დანაშაულისგან გამოწვეული სტრესი ართულებს დაზარალებულთან/მოწმესთან კომუნიკაციას.

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების უწყვეტი პროფესიული განვითარების მიზნით, საქართველოს პროკურატურა მუდმივად ზრუნავს კოორდინატორების პროფესიული უნარ-ჩვევების გაძლიერებაზე. კოორდინატორებმა სხვადასხვა პერიოდულობით გაიარეს გადამზადება ოჯახში ძალადობის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულთა საკითხებში.

2023 წლის განმავლობაში დაგეგმილია კოორდინატორთა გადამზადება სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისა და შშმ პირთა უფლებებისა და კომუნიკაციის სტანდარტების შესახებ.

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობის მიზნით, 2022 წელს განხორციელდა სამსახურისთვის პრიორიტეტულ სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგი, რამაც ხელი შეუწყო პრიორიტეტულ საქმეებში მათ ჩართვას.

დამუშავდა კოორდინატორთა საქმიანობის ამსახველი მონაცემები, რომლის საფუძველზეც 2022 წლის განმავლობაში მომზადდა პერიოდული ანგარიშები, ხოლო, 2023 წლის დასაწყისში, ასევე - წლიური ანგარიში კოორდინატორის სამსახურის შესახებ.

2022 წლის სტატისტიკური მონაცემები

2022 წელს საქართველოს პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურით ისარგებლა 5274-მა მოქალაქემ, მათ შორის, 2829 იყო სრულწლოვანი დაზარალებული, 156 - არასრულწლოვანი დაზარალებული, 1064 - სრულწლოვანი მოწმე, 74 - არასრულწლოვანი მოწმე, 597 განმცხადებელი, 554 - სხვა პირი. 2021 წელს აღნიშნული მონაცემი შეადგენდა 5280 პირს. 2021-2022 წლების მონაცემების შედარებით დგინდება, რომ ბოლო 2 წლის განმავლობაში თითქმის თანაბარია პირთა რაოდენობა, რომლებმაც წლის განმავლობაში ისარგებლეს კოორდინატორის სამსახურით.



5274 მოქალაქეს შორის, რომლებსაც კოორდინატორის მიერ გაეწიათ მხარდაჭერა, 3693 (70%) იყო ქალი, ხოლო 1581 (30%) - კაცი.





2022 წელს კოორდინატორებმა მხარდაჭერა გაუწიეს 34 შშმ პირს. მათ შორის, 25 იყო სრულწლოვანი დაზარალებული, 2 - არასრულწლოვანი დაზარალებული, 3 - მოწმე და 4 - განმცხადებელი.



2022 წელს კომუნიკაციის ინიციატორები უმეტეს შემთხვევაში იყვნენ კოორდინატორები. კერძოდ, 5274 პირთან კომუნიკაცია შედგა 11 060 ჯერ, საიდანაც 6956 (63%) შემთხვევაში კომუნიკაციის ინიციატორი იყო კოორდინატორი, ხოლო 4104 (37%) შემთხვევაში - მოქალაქე.



2022 წელს კოორდინატორებმა ყველაზე ხშირად დახმარება გაუწიეს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის მოწმეებსა და დაზარალებულებს:[1]



[1] შენიშვნა: მონაცემები დათვლილია დანაშაულების/პირების მიხედვით და შესაძლოა არ ემთხვეოდეს სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობას.

2022 წელს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები ჩართული იყვნენ სისხლის სამართლის კოდექსის VII კარით გათვალისწინებულ ქალთა მიმართ ჩადენილი ძალადობის 1576 საქმეში.

2022 წელს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები ჩართულნი იყვნენ 11' და 126' მუხლებით დაკვალიფიცირებულ სისხლის სამართლის 1454 საქმეში.

2022 წელს კოორდინატორების მიერ სულ განხორციელდა 18 556 აქტივობა. მათ შორის, კოორდინატორები დაესწრნენ დაზარალებულის მონაწილეობით ჩატარებულ 212 საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებას.

საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებებზე დასწრება



მოწმისა და დაზარალებულისთვის მათი უფლებებისა და მოვალეობების, ასევე, სასამართლო განხილვის სამართლებრივი პროცედურების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით, საანგარიშო პერიოდში კოორდინატორები შეხვდნენ 918 დაზარალებულს/მოწმეს და მათი ემოციური მდგომარეობის გათვალისწინებით, დაესწრნენ 172 სასამართლო პროცესს.

2022 წელს მოქალაქეთა (მათ შორის, მოწმე/დაზარალებული) მხრიდან სულ დაფიქსირდა 3766 მოთხოვნა/შეკითხვა. ყველაზე ხშირად მოთხოვნილი იყო გამოძიებასთან ან პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია, პროკურორთან შეხვედრა, შემოტანილ განცხადებაზე რეაგირება/რეაგირების შესახებ ინფორმაცია.



ინფორმაცია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენების შესახებ

2020 წლის პირველი იანვრიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლში შევიდა საკანონმდებლო ცვლილება, რომლის თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლით გათვალისწინებული ოჯახში ძალადობის ან 11[1] მუხლით გათვალისწინებული ოჯახური დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის ახლო ნათესავს, რომელსაც უშუალოდ ამ დანაშაულის შედეგად მიადგა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული უფლებით სარგებლობამდე, დაკითხვის ჩამტარებელმა პირმა უნდა შესთავაზოს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთან კონსულტაციის გავლა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე 3-დღიანი მოსაფიქრებელი ვადით სარგებლობა.

აღნიშნული ნორმის მიზანია, სასამართლოში ჩვენების მიცემამდე დაზარალებულმა სრულყოფილად გაიაზროს მისი უფლება-მოვალეობები, როლი სამართალწარმოების პროცესში, საქმის განხილვის ეტაპზე ჩვენების მიცემის მნიშვნელობა, მართლმსაჯულების განხორციელების მიზანი, ძალადობის განმეორების მოსალოდნელი საფრთხე და შედეგები. გარდა ამისა, დაზარალებულთან კომუნიკაციის მიზანია, პროკურორი/კოორდინატორი დარწმუნდეს, რომ დაზარალებულის მიმართ არ ხორციელდება რაიმე უკანონო ზემოქმედება, დადგინდეს ჩვენების მიცემაზე უარის თქმის შესაძლო განმაპირობებელი სუბიექტური ან ობიექტური მიზეზი - მუქარა, იძულება, თხოვნა, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, საცხოვრებლის საჭიროება და სხვა, რათა შეფასდეს დაზარალებულის მიმართ ფსიქოლოგიური, მორალური, ფიზიკური, მატერიალური მხარდაჭერის საჭიროება და მიღებული იქნეს შესაბამისი ზომები.

კოორდინატორის სამსახურის რესურსის და კანონის მიზნიდან გამომდინარე, პროკურორები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობას ძირითად სთავაზობენ იმ დაზარალებულს, რომლიც არის განსაკუთრებულად მოწყვლადი ან/და არსებობს მოლოდინი ან ინფორმაცია, რომ შესაძლოა ისარგებლოს ახლო ნათესავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლებით.

საკანონმდებლო ცვლილების პრაქტიკაში ეფექტიანი იმპლემენტაციის მიზნით, საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ შემუშავდა სახელმძღვანელო მითითება „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენების შესახებ“, რომელიც დაეგზავნათ პროკურორებსა და კოორდინატორებს. ასევე შემუშავდა სტატისტიკური

მონაცემების აღრიცხვის ფორმები, რომლის მეშვეობითაც მონაცემები ყოველთვიურად იგზავნება ზემოაღნიშნულ დეპარტამენტში მონიტორინგისა და ანალიზის მიზნით.

2022 წელს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობის შეთავაზება განხორციელდა 29 სტრუქტურულ ერთეულში, 365 დაზარალებულთან. მათ შორის, კოორდინატორის რესურსი გამოიყენეს იმ სტრუქტურულმა ერთეულებმაც, სადაც არ ჰყავთ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი, რაც წარმოადგენს კარგ პრაქტიკას.

აღსანიშნავია, რომ 365 დაზარალებულიდან, რომლებსაც პროკურორმა შესთავაზა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობა, 237 (65%) იყო ბრალდებულის მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული), 65 (18%) მშობელი, 34 (9%) შვილი და 8% სხვა.

ბრალდებულისა და დაზარალებულის ნათესაური კავშირი



365 დაზარალებულიდან, რომლებსაც პროკურორებმა შესთავაზეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული მოსაფიქრებელი ვადა და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთან კონსულტაცია, 154-მა (42%) შეთავაზებაზე განაცხადა უარი, ხოლო 211-მა (58%) გამოთქვა სურვილი ესარგებლა სამდღიანი მოსაფიქრებელი ვადით და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთან კონსულტაციით.



211 დაზარალებულიდან, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ შეთავაზებაზე, კოორდინატორთან კონსულტაციის გავლისა და მოსაფიქრებელი ვადის შემდეგ, სასამართლო პროცესზე ბრალდებულის წინააღმდეგ ჩვენება მისცა 56-მა დაზარალებულმა, კოორდინატორის მიერ გაწეული მუშაობის მიუხედავად, ჩვენება არ მისცა 105-მა, 12 მათგანის შემთხვევაში აღარ გახდა საჭირო ჩვენების მიცემა, რადგან დაცვის მხარემ უდავოდ ცნო მტკიცებულებები, ხოლო, 38 დაზარალებულის შემთხვევაში, ანგარიშის დამუშავების დროისათვის არ იყო გამართული სასამართლო სხდომა.



56 დაზარალებულის საქმეზე (რომლებმაც კოორდინატორთან კონსულტაციის გავლისა და მოსაფიქრებელი ვადის შემდეგ სასამართლო პროცესზე ბრალდებულის წინააღმდეგ მისცეს ჩვენება) ანგარიშის დამუშავების დროისათვის, 35 შემთხვევაში დასრულებული იყო სასამართლო განხილვა. აქედან, 31 შემთხვევაში დადგა გამამტყუნებელი, ხოლო 4 შემთხვევაში გამამართლებელი განაჩენი.

პროკურატურა 2023 წლის განმავლობაში აქტიურად გააგრძელებს მუშაობას კოორდინატორის სამსახურის გაძლიერების და დაზარალებულთა ინტერესებზე ორიენტირებული მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.